პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 122 (19564) ◆ სამშაბათი, 27 მაისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

...ური წლის გეგმა ოქტომბრის 70 წლისთავისათვის

ჩვენი რესპუბლიკის მრავალმა შრომითმა კოლექტივმა დაუჭირა მხარი თბილისელ მუშათა, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატთა მოწოდებას — ჩვენთან სოციალისტურ შეჯიბრებაში დევიზით: „ხუთწლედის ორი წლის დავალება — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის!". ეს მოძრაობა ყოველდღიურად ფართოვდება, სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო სამმართველოების, სატრანსპორტო ორგანიზაციების ასობით კოლექტივმა გამოავლინა დამატებითი შესაძლებლობანი და ახალი გადიდებული ვალდებულებანიც იკისრა.

აღსანიშნავია, რომ ყველა ვალდებულება ღრმად არის გაანალიზებული და მითითებულია იმ რეზერვებზე, რომელთა გამოყენებითაც ამირებენ კოლექტივები ახალი მიჯნების დაძლევას, მოულოდნელ დაბრკოლებათა გადალახვას.

თბილისელ მუშათა თაოსნობას, მაგალითად, ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ტყიბულის ე. მინდელის სახელობის შახტის კოლექტივი და დაიმკვიდრა კიდეც მოწინავე პოზიციები. გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით თითქმის თექვსმეტი პროცენტით გაიზარდა ქვანახშირის ამოღება. 20 პროცენტით იმატა თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერებამ, ტონა სათბობის თვითღირებულება კი მანეთითა და 18 კაპიკით შემცირდა. მარტო ამ გზით 61 ათასი მანეთი დაიზოგა, საწარმოს ტექნიკური აღჭურვა გრძელდება. აქ ახლა ამზადებენ კიდევ ერთ ახალ ლავას, სადაც მალე ქვანახშირის მომწგრეავი მექანიზებული კომპლექსი გადაინაცვლებს. უეჭველია, დაჩქარების ასეთი ტემპით მუშახტელები მიაღწევენ მიზანს. ასევე უნდა ითქვას „საქსამოქიმშრეფის", „ელმავალმშენებლის", „საქელექტრომანქანის", „ჩიათურმანგანუმის" საწარმოო გაერთიანებების, ზესტაფონის ферროშენადნობთა და ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნების, ზოგიერთი სხვა საწარმოს იმ ბრიგადების, უბნების, საამქროების, მაღაროსამმართველოების კოლექტივებზე, რომლებმაც მაშინვე აიტაცეს ზემოხსენებული ინიციატივა და თავდადებით შრომობენ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. მართალია, ჯერ ძალიან საგრძნობლად არა, მაგრამ ინიციატივის მსარდაჭერამ გარკვეულწილად შეუწყო ხელი მიმდინარე წლის ოთხ თვეში მოპოვებულ წარმატებებს.

პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის ოთხი თვის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ მთლიანად მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით დამზადდა 73,2 მილიონი მანეთის პროდუქცია. იანვარ-აპრილის პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა რესპუბლიკის ყველა სამინისტრომ და უწყებამ, რაც შესება რეალიზაციის დაკალების შესრულებას, ამ მხრივ ჩამორჩენილ მხოლოდ მშენებლობის სამინისტრო.

დიახ, ასეთია საქმის საერთო მდგომარეობა მრეწველობაში, მაგრამ დასაშვებელი ოდნავადაც არაფერი გვაქვს. აბა, რომელი ინიციატივის მსარის დაჭერაზე უნდა ილაპარაკოს იმ 102-მა რესპუბლიკური და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა კოლექტივმა, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს პროდუქციის რეალიზაციის ოთხი თვის გეგმის შესრულება და სახელმწიფოს 33,6 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლეს. სამწუხაროდ, როგორც პროდუქციის გამოშვების, ისე მისი რეალიზაციის მხრივ კვლავ ჩამორჩენილთა რიგებშია რუსთავის „აზოტისა" და „ქიმბოჭკოს" საწარმოო გაერთიანებები, მათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა, „საქთვეზმრეწი", მათ დაემატა ფოთის ელექტრომანქანური გამაძლიერებლების, თეთრი წყაროს საეკსკავატორო-საცდელი და რუსთავის თუჯსხმულების ქარხნები, კავთისხევის რინაბეტონის ნაწარმოა უმანი და სხვა. დასანანია, რომ მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში, მაშინდელ შეკამების პერიოდთან შედარებით, იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც ვერ ასრულებენ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმებს, არ შემცირებულა.

როგორ ვიცავთ სახელშეკრულებო დისციპლინას? იმ საწარმოებიდან და გაერთიანებებიდან, რომლებიც სხვა ორგანიზაციებთან პროდუქციის მიწოდების ვალდებულებანი აქვთ დაკავშირებული, 120-მა, ანუ 14,9 პროცენტმა ვერ შეასრულა გეგმა. მომხმარებელს ეგზავნა ვალდებულებითი გათვალისწინებულზე 42,4 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია. სახელშეკრულებო დისციპლინა დაარღვიეს იგივე „აზოტის" საწარმოო გაერთიანებამ და „საქთვეზმრეწმა", აგრეთვე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებამ, მათუმის ნავთობგადამამუშავებელმა და ელექტრომექანიკურმა, ფოთის ელექტრომანქანური გამაძლიერებლების, ქუთაისის ლითოფონის ქარხნებმა და ზოგიერთმა სხვა საწარმომ.

რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოები იძლევიან დაჩქარების კარგ მაგალითს. საშუალო რესპუბლიკურთან შედარებით წარმოების მოცულობის ზრდის განსაკუთრებით სწრაფ ტემპს მიაღწიეს „კავკასტრანსფორმატორის" და „საქსამოქიმმრეწის" საწარმოო გაერთიანებებმა, თბილისის „აგრეგატის", ცხინვალის მომინანქრებული სადენების, ფოთის „ელექტროაპარატის", თელავის სარეშონტო-მექანიკური ქარხნების კოლექტივებმა. სხვათა შორის, ზემოხსენებულ საწარმოებში ასობით ბრიგადა, საამქრო და უბანი იბრძვის იმისათვის, რომ ხუთწლედის ორი წლის დავალება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისთვის შეასრულოს, და ეჭვი არ არის, მიაღწევს კიდეც მიზანს.

ყველრთოდ, აღსანიშნავია, რომ საშუალო სადღეღამისო წარმოებამ რესპუბლიკის მრეწველობაში ოთხ თვეში 32,8 მილიონი მანეთი, ხოლო აპრილში, კერძოდ, 29,5 მილიონი მანეთი შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ ეს მაჩვენებლები მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შესაბამისად 3,3 და 4,9 პროცენტით გადიდდა. ეს, ცხადია, კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ ოთხ თვეში, მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, 255-მა საწარმომ შეამცირა წარმოების მოცულობის ზრდის დონე. განსაკუთრებით დასანანია, რომ მათ აბსოლუტურ უმეტესობას ეს შემცირება გეგმით პქონდა გათვალისწინებული. ნუთუ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო, გამოენახა დამატებითი შესაძლებლობები და არ შეემცირებინა ზრდის ტემპი? შესაძლებლობანი, რეზერვების გამონახვა ზოგიერთ მათგანს, ეიმეორებთ, ზოგიერთ მათგანს, შეეძლო, მაგრამ რასანაც ზემოდან შემცირებული გეგმები მიიღეს, თავი აღარ შეიწუხეს.

როცა გეგმების ვადამდე შესრულების ვალდებულებებს ეკისრებობთ, არც ერთ წუთს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახლა წინა ხუთწლედის ბოლო ხარისხი. ხარისხის გაუარესების ხარჯზე დაჩქარება არავის სჭირდება. ამას ვლაპარაკობთ იმ საწარმოთა ხელმძღვანელების საყურადღებოდ, რომლებმაც მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შეამცირეს უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების დონე. საგრძნობლად ჩამორჩნენ მიღწეულ დონეს, მაგალითად, რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები, „ანალიზსელსაწყოს" სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, თბილისის სასვენელო-სამონტაჟო ინსტრუმენტების ქარხანა, ზოგიერთი სხვა საწარმო. საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული პროდუქციის ხვედრითი წილი შემცირდა აგრეთვე ქალაქების ქუთაისისა და ტყიბულის, მახარაძის, ოზის, სიღნაღის, წალენჯიხის სამრეწველო საწარმოებში.

შრომითი მეტოქეობის ახალ ეტაპზე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადების პერიოდში მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოთ მეგნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, საწარმოთა რეკონსტრუქციისა-გაფართოებას, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დროულ დანერგვას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის ოთხთვიურ-ეტაპების შემცირებას, მომჭირნეობის რეჟიმის მკაცრ დაცვას, საწარმოო სიმძლავრეების სრულად გამოყენებას.

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დამლევამდე თვეზე ცოტა მეტი რჩება. ამ პერიოდში ბევრად უნდა განსაზღვროს, თუ როგორი ნიადაგი მოვამზადეთ მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის წარმატებული დამთავრებისათვის, თუ მონდომება და მოვალეობისადმი განსაკუთრებული პასუხგასმგებლობა, მეტი ენთუზიაზმი იქნება, დარჩენილ დროში კიდევ მრავალი საქმის მოგვარებას შეეძლებთ, ოღონდ არა ერთ და ორ დაბრკოლებას გადალახავთ და სასურველ მიზანსაც მიაღწევთ.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველდღიურად ინბრძოლონ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზებულად წარმართვისათვის, აღმოფხვრან ამ მხრივ ჯერ კიდევ არსებული ფორმალიზმი. ამოცანა ის არის, რომ ვადაკეთილი შრომითი მეტოქეობა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის მზადების ნამდვილ ეტაპად, ყველაფერი ვიღონოთ ნაკისრი ვალდებულებების უფუოდ შესრულებისათვის.

თათბირი დამთავრდა

24 მაისს დამთავრდა საგარეო-პოლიტიკურ მუშაკთა თათბირი, რომელიც მოწვეული იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში. მასში მონაწილეობდნენ სრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები, გენერალური კონსულები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკები, სხვა უწყებათა და დაწესებულებათა წარმომადგენლები. მათ განიხილეს საგარეო პოლიტიკის დარგში სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ამოცანები იმ მოთხოვნების მიხედვით, რომლებიც წამოყენებული იყო ამ თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვაში.

თათბირზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ. (საკდესი).

ამერიკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის 65 წლისთავი

მზად ვართ საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების დასაცავად! — ეს სამხედრო ფიცი ვით მტკიცე სიტყვები ომახიანად გაისმის ამერიკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ერთ-ერთი ქვეგანაყოფის საზეიმო მწყობრში.

ვ. გენგიურის ფოტო.

...ბილისელ სახალხო კონტროლის ამოცანები

24 მაისს გაიმართა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო კომიტეტების თავმჯდომარეები. განიხილეს სახალხო კონტროლის ორგანოების ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ბ. შკოლნიკოვმა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებანი, მის მიერ შემუშავებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგია ყველა კომიტეტის, ჯგუფისა და საგუშაგოს, სახალხო კონტროლიორების მუშაობის, შესრულების კონტროლისა და შემოწმების განსახორციელებლად პრაქტიკული მოქმედების წარმმართველი და დამრახმველი პროგრამაა.

ყრილობის მიერ დასახული ამოცანების სიახლე და მასშტაბურობა მოითხოვს, რომ სახალხო კონტროლის სისტემა უფრო ეფექტიანად მუშაობდეს, ხელს ჰკიდებდეს დიდი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას, მეტ შედეგებს აღწევდეს მუშაობაში. ამიტომ საჭიროა სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესება. მისი ორგანიზაციის სრულყოფა და პარტიის ახალ მითითებებთან მისი შესაბამისობა. ყოველმა კომიტეტმა, ჯგუფმა და საგუშაგომ, ყოველმა სახალხო კონტროლიორმა, აღინიშნა სხდომაზე, თავისი კონკრეტული წვლილი უნდა შეიტანოს ყრილობის გადაწყვეტილებების, მიმდინარე წლისა და ათწლეულის მეთორმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა შესრულებაში.

კომიტეტებმა და ჯგუფებმა უნდა გააძლიერონ კონტროლის პროფილაქტიკური ხასიათი, უზრუნველყონ მისი ფართო საჯაროობა. განამტკიცონ კავშირურთიერთობა და თანამოქმედება სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივ კომისიებთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, სამართალდამცავთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, რომლებიც საუწყებათაშორისო კონტროლს ახორციელებენ.

განსაზღვრა სახალხო კონტროლის ყველაზე მასობრივი რგოლის — ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი, ამავამად ამ ორგანოებში მიმდინარე ანგარიშგება-არჩევნებმა ხელი უნდა შეუწყოს კონტროლიორთა რიგების შემდგომ განმტკიცებას, შრომითს კოლექტივებში მათი მებრძოლურობისა და როლის გაძლიერებას, სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად სახალხო კონტროლიორთა ძალების მობილიზაციას. (საკდესი).

დიდი აფუღის უკვდავება

იესე მოვიდა ქართულ მიწაზე საიათნოვას დღესასწაული, მეგობრობის დღესასწაული, ვარდების დღესასწაული. ტრადიციისამებრ ყოველ წელიწადს მაისის ბოლო კვირას, თბილისში, რომელიც დიდი აშუღის მეორე სამშობლო გახდა, იკრიბებიან საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სამი მოძმე რესპუბლიკის დიდი შვილის მადლიერი შთამომავალნი, რათა გამოხატონ საყოველთაო სახალხო სიყვარული პოეტისადმი, რომელმაც ხოტბა შეასხა სიკეთეს, ძმობას, ხალხთა შორის სიყვარულს.

ათასობით ადამიანი შეიკრიბა 25 მაისს მრავალეროვან თბილისის ძველ უბანში — ორთაჭალაში იმ პოეტისა და მოქალაქის საფლავთან, რომელმაც სომხურ, ქართულ, აზერბაიჯანულ ენებზე შექმნა თავისი ბრწყინვალე ქმნილებანი.

საიათნოვას დღესასწაულს დაესწრნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. დ. გაბუნია, გ. ნ. ენუქიძე, ვ. გ. ლორთქიფანიძე.

მიტინგი გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ციციშვილმა.

ერთმანეთს ენაცვლებიან ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ორატორები. საიათნოვას დიდ მემკვიდრეობას, ამიერკავკასიის მწერალთა ლიტერატურულ ურთიერთობას შეეხნენ თავიანთ გამოსვლებში საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ი. გრიგორიანი, აზერბაიჯანელი და სომეხი პოეტ-მთარგმნელები ვ. ჰაჯიევი და ა. ოვნათანი, ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი ბ. არველაძე, სომეხი მწერლები ბ. სეირანიანი და ს. სიმავორიანი.

მიტინგის შემდეგ იმპროვიზებულ სცენაზე გაიმართა კონცერტი. ისმოდა სიმღერები, აშუღის ლექსები ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე, შესრულდა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ცეკვები.

საიათნოვას საფლავი ვარდებით შეამკეს სამი მოძმე ხალხის დიდი შვილისადმი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად. (საქინფორმი).

...ბლის განახლება

საქართველოს ბაღებში ნაყოფის კრეფის დრო დადგა. საადრეო ჯიშის ბლის პირველი ტონები მოიწიეს მარნეულის, ქარელის, რესპუბლიკის სხვა რაიონების მეურნეობებში

— მოსავალს კარგი პირი უჩანს, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სახელმწიფო აგრომრეწვის მეხილეობის სამმართველოს უფროსმა ნ. ჯაშმა. — მის მისაღებად მზად არიან შესაბამისი სამსახურები — დამამზადებელი ბაზები, გადამამუშავებელი საწარმოები, ტრანსპორტი. მებაღეთა წინაშე მდგომი ამოცანები ახლა ოპერატიულად წყდება. ეს იმით აიხსნება, რომ წლის დამდეგს შექმნილ სახაგრომრეწვში შევიდა აგროსამრეწველო კომპლექსში მისი ყველა პარტნიორი. მეურნეობებსა და გადამამუშავებელ საწარმოებს ერთი მიზანი აქვთ — მაღწიონ მაღალ საბოლოო შედეგებს.

ამას მაგალითით ავხსნი: წინათ მებაღეთა ფუნქციები მთავრდებოდა ხილის მოწევით, ტრანსპორტელებისა — მათი გადაზიდვით. ახლა ორივე დარგის მუშაკთა შრომა ფასდება იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობისა და ხარისხის პროდუქციას მიიღებს მომხმარებელი.

— შარშან ვერ შესრულდა ხილის კრეფისა და გადამუშავების გეგმა. რა კეთდება მდგომარეობის გამოსასწორებლად?

— უწინარეს ყოვლისა გადაწყდა მნიშვნელოვნად განახლდეს ბაღები პერსპექტიული ჯიშების ხეხილის კულტურების გაშენების გზით. მაგალითად, ფართოვდება ატმის ბაღები. ამ ძვირფასი კულტურის ფართობები რამდენიმე ათეული ჰექტარით გაიზარდა ძალიან ცოტა ადგილზე — ...

ჩვენი სამმართველო მკაცრად აკონტროლებს საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობას ყოველ რაიონში, კოლმეურნეობაში, ამ დღეებში შეჯამდა ბაღებისა და ვენახების დათვალიერების შედეგები. დათვალიერების შედეგებით შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ საგაზაფხულო სამუშაოების ტემპი და, რაც მთავარია, ხარისხი, საზოგადოებრივი ხეხილის ბაღებში წინა წლებთან შედარებით გაცილებით უკეთესია.

— უკანასკნელ წლებში საქართველოში შემცირდა ატმის, სხვა კურკოვანი კულტურების დამზადების მოცულობა, მათგან კონსერვების დამზადება: ამავე დროს რესპუბლიკაში ყოველგვარი პირობა არსებობს მათი წარმოების გადიდებისათვის.

— მართლაც, ვერ ვაკმაყოფილებთ რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნას კურკოვან ხილზე. უკანასკნელ დროს მკვეთრად შემცირდა ატმის, ბლის, ქლიავის ბაღები. ბუნებრივია, რომ ხეხილის კულტურების ასორტიმენტის შემცირებამ გამოიწვია დაკონსერვებული პროდუქციის ფამოშვების შემცირებაც, რაც, რა თქმა უნდა, სრულიად შეუწყნარებელია. ახლახან საქართველოს სსრ აგრომრეწვამ შეიმუშავა ღონისძიებანი კურკოვანი, კაკლოვანი და სხვა კულტურების წარმოების შემდგომი განვითარებისა და ხილის ნაყოფის გაუმჯობესებისათვის.

გათვალისწინებულია 1986-1990 წლებში რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში გაშენდეს 12 ათასი ჰექტარი ინტენსიური ბაღები. მათ შორის ქლიავისა — 4.500, კაკლისა — 900, სუბტროპიკული კულტურებისა — 500 ჰექტარი.

შავი ქლიავის წარმოებისა და გადამუშავებისათვის მტკიცე ბაზის შესაქმნელად მომდევნო ორ წელიწადში განზრახულია წითელწყაროს რაიონში შეიქმნას სპეციალიზებული მეურნეობა-ფაბრიკა. აქ ვაშენებთ 1000 ჰექტარ ბაღს.

გათვალისწინებულია რესპუბლიკის სამაცივრო მეურნეობის სიმძლავრეთა გაფართოება. უახლოეს წლებში დამატებით ამოქმედდება 24 ათასი ტონა საერთო მოცულობის რვა მაცივარი. ამის მეშვეობით ზაფხულის პერიოდში ახალ ხილს შევაწვდით არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ მოსკოვისა და ქვეყნის სხვა ქალაქების მცხოვრებლებსაც.

ხუთწლედის დამლევს სახელმწიფოს მივყიდით მილიონზე მეტი მანეთის ხილს, რაც ახლანდელთან შედარებით ერთიორად მეტია.

ი. სულავა.

მიფრინავს „ეკრანი"

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით სატელევიზიო მაუწყებლობის სისტემების შემდგომი განვითარების პროგრამის შესაბამისად, საბჭოთა კავშირში გაუშვეს სატელევიზიო მაუწყებლობის მორიგი თანამგზავრი „ეკრანი". იგი აღჭურვილია სარეტრანსლაციო აპარატურით, რომელიც უზრუნველყოფს ტელევიზიის დეციმეტრული დიაპაზონით ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადაცემას კოლექტიური სარგებლობის მიმღებ მოწყობილობათა ქსელისათვის. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკომანდო-საზომი კომპლექსი ახორციელებს თანამგზავრის მართვას.

თანამგზავრის სატელევიზიო აპარატურის ექსპლოატაცია წარმართება დასახული პროგრამის შესაბამისად. (საკდესი).

ჩერნობილი: ვაჟკაცობისა და ერთობის გაკვეთილი

ცხოვრების ფესი საბჭოურია

ადამიანთა ხსოვნაში არის ტკივილის წერტილები. ერთი მათგანია ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი უბედურება. თუმცა უცნობი, მაგრამ მოულოდნელად ახლობლად ქცეული ადამიანების უბედურების გაზიარების გარდა, იგი დატოვებს მოგონებას იმათი მილიონობით თანამემამულის ვაჟკაცობისა და სიმტკიცის, ძმური თანაგრძნობის შესახებ, ვინც დაზარალდა.

„ჩვენ, ქართველები და უკრაინელები, ძმები ვართ, — წერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივის სახელით მეცნიერი თანამშრომელი ტრისტან ჩინჩალაშვილი. ამ კოლექტივის წევრებმა, ისევე როგორც ასიათასობით საბჭოთა ადამიანმა, ჩერნობილელთა დახმარების ფონდში გადარიცხა ერთი დღის ხელფასი. — მეგობრული ურთიერთობა და ეშმაკრიტად ძმური ისტორიული ფესვები და საერთო ტრადიციები დამაჯერებლად ადასტურებენ ამას. ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა დიდი სამამულო ომის უმძიმეს წლებში. ...ოცა დიდი კობზარიან ტარას შევჩენკოს, ლესია უკრაინკას სამშობლოსა და დავით გურამიშვილის მეორე სამშობლოს სამნენელი საფრთხე შეექმნა, ქართველებმა საბჭოთის ყველა ხალხთან ერთად მკერდით დაიცვეს უკრაინის მიწა-წყალი. ახლაც უკრაინელი ძმების უბედურება საკუთარ უბედურებად მიგვაჩნია...".

ატომურ ელექტროსადგურში მომხდარმა ავარიამ ჩვენს ლექსიკონში დანერგა აქამდე უცნობი სიტყვები „რადიაციული ფონი". მაგრამ მანვე გამოავლინა, რომ უბედურების ფონზე ყოველგვარი საქციელი უფრო კონტრასტულად ჩანს, უფრო რელიეფურად ვლინდება ადამიანის სულის წაზნაგები. კიევის მახლობლად მომხდარმა ამბავმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა საბჭოთა ადამიანების ხასიათის განუყოფელი თვისებები. მზადყოფნა დაუყოვნებლივ დაეხმაროს ერთმანეთს, გაუზიაროს საკუთარი ჭერი.

სადგურის ზონაში ასობით ადამიანი ავარიის შედეგების აღმოსაფხვრელად რომ მუშაობენ, დღეს უმაგალითო ვაჟკაცობისა და სიმტკიცის მაგალითებს გვიჩვენებენ. ეს საკმარისია სპეციალისტები, ტექნიკა, ძალები. მაგრამ ადამიანები, რომლებიც ჩერნობილიდან რამდენიმე ათასი კილომეტრის დაშორებით ცხოვრობენ, ვუღრეღილნი ვერ რჩებიან. მოდის ათობით წერილი, რომლებშიც ითხოვენ, ითხოვენ კი არა მოითხოვენ კიდეც, გაგზავნონ ისინი იქ სამუშაოდ. და ეს მარტოოდენ ლამაზი სიტყვები კი არა, გულის კარნახია, სურვილი ეზიარონ გმირობას, დაეხმარონ ადამიანებს შეძლებისდაგვარად. სწორედ ამ გრძნობით ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის ინჟინერი ი. ჯოჯუა, რომელიც ისურვა პირადი მონაწილეობა მიეღო აღდგენითს სამუშაოებში. სწორედ ეს სურვილი ამოძრავებდათ მის კოლეგებსაც, რომლებმაც გადაწყვიტეს ხუთი ათასი მანეთი პრემია გადაეცითათ დაზარალებულთა დახმარების ფონდში, უკრაინელი ბავშვებისათვის საზაფხულოდ მიეცათ ქობულეთის პიონერული ბანაკი.

დიახ, ჩვენს სახელმწიფოს უყურადღებოდ არ მიუტოვებია ისინი, ვისი ცხოვრებაც ანაზდად დაარღვია ატომური სადგურის მწყობრიდან გამოსულმა მეოთხე ენერგობლოკმა. კიევის ოლქში უწყვეტ ნაკადად მიედინება ტვირთი, უსაფრთხო ადგილას გადიზნეს მოსახლეობა. მაგრამ საბჭოთა ადამიანებს დიდი ხანია მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო ჩვენი ვართ. მაშასადამე, მისი საზრუნავისათვის პასუხს აგებს თითოეული.

„მე პარტიისა და შრომის ვეტერანი ვარ, — იწერება ახალციხიდან არშალუის მარკუპჩიანი. — ჩერნობილში მომხდარი უბედურება მთელი ხალხის უბედურებად მიმაჩნია. მზად ვარ შინ მივიღო ნებისმიერი ასაკის ორი ბავშვი...".

„ჩამობრძანდით, მოხარული ვიქნებით!" ეს სიტყვები მეორდება ათობით წერილში, რომლებიც საქართველოდან ბავშვებს გიგზავნება. ეს სიტყვები ჩაწერილია გურჯაანის რაიონის კარდანახის საშუალო სკოლის ინტერნაციონალური კლუბის წევრთა წერილშიც, რომლებმაც კომკავშირის ჩერნობილის რაგკომის მეშვეობით მოიწვიეს ოცი უკრაინელი ბავშვი არდადეგების ერთად გასატარებლად.

ჩვენმა თაობამ იცის, ახსოვს, როგორ შეაკავშირა ადამიანები ომის მრისხანე წლებმა. კონტროლს დაუქვემდებარებელ მშვიდობიან ატომთან ბრძოლა კვლავ გვარწმუნებს — ჩვენ წინანდელივით ერთიანნი ვართ ჭირშიც. და არ შეიძლება არ აგაღელვოს ჩერნობილში გაგზავნილმა საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის" გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის დურმიშხან მაღალაშვილის წერილმა: „მე უკრაინის მიწა-წყალზე მოქმედი ივანე ფილიპეს ძე ფიოდოროვის გაერთიანებული რაზმის ყოფილი მზვერავი-პარტიზანი ვარ. უკრაინა ჩემთვის ახლობელია და მშობლიური საქართველოსავით მიყვარს. გულწრფელად, სულითა და გულით მინდა შევიტანო ფონდში ჩემი მცირედი წვლილი — 200 მანეთი...".

უეჭველია ყველა ისინი, ვინც დაზარალებულთა მისამართით თანხებს გზავნის, თვეების მანძილზე აგროვებდა შვებულებისა თუ რაიმე ნივთის საყიდლად. და აი დადგა უბედურება და უყოყმანოდ, დაუზოგავად ჩვენი თანამემამულენი და თანამედროვენი გამომუშავებულ სახსრებს აძლევენ უკრაინელ ბავშვებს დასასვენებლად, მათთვის ყოველივე საჭიროს შესაძენად, საშიში ზონიდან გახიზნულთა მოსაწყობად. ასე მოიქცნენ ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი-გემთსაშენებელი ქარხნის მუშები, რომლებმაც ზღვისპირა ქალაქის ყველა მცხოვრებისათვის ცნობილ „ჩერნობილის" № 904 სამანკო ანგარიშზე გადარიცხეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მიღებული პრემია. ასე მოიქცნენ სოხუმელი ავიატორები, რომლებმაც დღის გამომუშავება გადაუგზავნეს კიევის ოლქის მცხოვრებლებს. ასე იქცევა საბჭოთა საქართველოს ასიათასობით შშრომელი...

დახმარებისათვის გულწრფელი მადლობა ჯილდოა იმათთვის, ვინც გაჭირვებულ ადამიანებს დახმარების ხელი გაუწოდა. აი რას სწერენ სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მუშაკებს ჩერნობილელი კოლეგები: „ძვირფასო ამხანაგებო! დიდი სიხარულით მივიღეთ, თქვენი აზრით, მცირე, მაგრამ, ჩვენი აზრით, — მეტად დიდი საჩუქარი — ქართული ჩაი. თქვენმა თანაგრძნობამ მოულოდნელად თავს დატეხილი უბედურების გამო, აღაფრთოვანა ჩვენი კოლექტივი. დიდი მადლობა".

იქვე, ბანკში, საქინფორმის კორესპონდენტები შეხვდნენ ომისა და შრომის ვეტერანს, პერსონალურ პენსიონერს ფ. ჯიბლაძეს, რომელმაც ჩერნობილელებს 30 მანეთი გაუგზავნა.

ვფიქრობ, ჩემი მცირედი ძღვენი გამოადგება იმათ ვისაც თავს დაატყდა უბედურება, — თქვა მან. — თუ თითოეული ჩვენგანი დაეხმარება მათ, საერთო ხელშეწყობა და თანაგრძნობა მნიშვნელოვანი იქნება.

ამ სიტყვების სიმართლეს ადასტურებს ფაქტები.

— დღეისათვის, — თქვა სახბანკის თბილისის საქალაქო განყოფილების უფროსმა ელენე თავშავაძემ, — რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებლებმა ჩერნობილის დახმარების ფონდში გადარიცხეს დაახლოებით 32 ათასი მანეთი. მათ შორის არიან თ. ვ. თეკელაშვილი, გ. ი. ბრიზგინი, ა. ი. ვაისი, ბევრი სხვა.

... ორი ათასი კილომეტრია საქართველოდან ჩერნობილამდე. მაგრამ გულისხმიერებამ და თანაგრძნობამ საზღვრები არ იცის. იმიტომ, რომ სახელმწიფო — ეს ჩვენ ვართ, ჩვენ კი საბჭოთა ადამიანები ვართ.

ა. კოკაია,
ა. შარშუნოვი,
საქინფორმის კორ.

* * *

ფოთი. 26 მაისი. (საქინფორმის სპეც. კორ. ი. სუდაკოვი). 26 მაისს, ორშაბათს, ქალაქის რკინიგზის სადგურიდან ჩვეულებრივი წესით გავიდა ბალტიისპირეთში, ბელორუსიაში, უკრაინაში პოპულარული ჩაის კონცენტრატით დატვირთული შემადგენლობა. ოღონდ მისი მიმღებია ჩერნობილის რაიონმასკომი. ეს არის საჩუქარი დაზარალებული რაიონის მცხოვრებლებისათვის ფოთის ჩაის კომბინატის მუშაკებისაგან, რომლებმაც საწარმოებში მოაწყვეს შაბათობა, გამოუშვეს ზეგეგმითი პროდუქცია, ხოლო ამ დღის ხელფასით გადაიხადეს კონცენტრატის ღირებულება და სატრანსპორტო ხარჯები.

სამი ათასი მანეთი ღირებულების ტონა-ნახევარი კონცენტრატი დამკვრელური გამომშვავებია. ასეთია კომბინატის მშრომელთა მონაწილეობა ჩერნობილელებისათვის საბჭოთა ადამიანების ჭეშმარიტად საყოველთაო ზრუნვაში. № 904 ანგარიშზე, რომ

უცხოეთი
ფაქტები • მოვლენები

ეროვნული

შეწყდეს ბირთვული გასინჯვების

ამერიკელთა მოწოდება ვაშინგტონის ადმინისტრაციისადმი

ნიუ-იორკი. რეიგანის ადმინისტრაციის მიერ ბირთვული აფეთქების განგრძობა მოწმობს, რომ იგი სერიოზულად არ ეკიდება შეიარაღებისადმი კონტროლის პრობლემებს, რაზეც დამოკიდებულია მთელი მსოფლიოს უშიშროება, წერს გაზეთ „ნიუსდეიში“ ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი ედოლფუს თაუნზი.

კონგრესმენი აღნიშნავს, რომ მიუმხრობელი ქვეყნების ჯგუფის ხელმძღვანელებმა მოუწოდეს შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შეწყვიტონ ბირთვული გამოცდები. და მაშინ, როცა სსრ კავშირი საქმით უპასუხებს ამ მმართვას, ჩვენ უგულებელყოფთ მას. ჩვენი მოკავშირეებისა და ამერიკის კონგრესის ბევრი წევრის თვალში პრეზიდენტი რეიგანი ის კაცი არ არის, ვინც ბირთვული შეიარაღებისადმი კონტროლისათვის ზრუნავს. დადგა ჟამი, როცა თეთრი სახლის მეთაურმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა მიპბაძოს საბჭოთა კავშირის მაგალითს და დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ბირთვული იარაღის გამოცდები, ხაზგასმით აღნიშნავს თაუნზი.

საზოგადოებრიობის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების სულ უფრო მეტი ადგილმბრივი ორგანო უშვებს მხარს აგრეთვე ბირთვული იარაღის გამოცდების შეწყვეტას. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, უკვე ამერიკის 109 ქალაქის მუნიციპალურმა საბჭომ და ოთხი შტატის — ვაშინგტონის, ნიუ-იორკის, ჰავაის და როდ-აილენდის — საკანონმდებლო კრებებმა მიიღეს რეზოლუციები, რომლებიც შეიცავენ მოწოდებას რეიგანის ადმინისტრაციისადმი შეწყვიტოს ბირთვული აფეთქებანი.

უშიშროების საბჭოში

სახელმწიფო ტერორიზმის სულისჩამდგმელები

ვაშინგტონმა და ლონდონმა ვეტო დაადეს რეზოლუციას

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი კვლავ წარდგნენ მთელი მსოფლიოს წინაშე როგორც სახელმწიფო ტერორიზმის სულისჩამდგმელები, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის მფარველები. მათ ვეტო დაადეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელშიც მტკიცედ არის დაგმობილი პრეტორია ბოტსვანაზე, ზამბიასა და ზიმბაბვეზე ამას წინანდელი შეიარაღებული თავდასხმისათვის.

მიუმხრობელი ქვეყნების ჯგუფის პროექტში, რომელსაც ხმა მისცა 12 სახელმწიფომ (საფრანგეთმა თავი შეიკავა), აღნიშნული იყო, რომ რასისტული სახელმწიფოს პოლიტიკა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. უშიშროების საბჭოს მოსთხოვეს ეკონომიკური და სხვა სანქციები შემოიღოს პრეტორიის მიმართ, რაც იქნება აპარტეიდის სისტემის წინააღმდეგ ბრძოლისა და სამხრეთ აფრიკაში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის ეფექტიანი საშუალება. თავიანთი აქციით ვაშინგტონმა და ლონდონმა მხოლოდ დაადასტურეს დოკუმენტში გამოთქმული რწმენა, რომ აპარტეიდის სისტემა „კვლავ არსებობს ზოგიერთი ქვეყნის მიერ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის გამო“.

◆ კოლუმბია

პრეზიდენტის არჩევნები

ბოგოტა. კვირას კოლუმბიაში გამართულ პრეზიდენტის არჩევნებში, წინასწარი მონაცემებით, გაიმარჯვა მმართველი კოალიციის მთავარი პარტიის — ლიბერალური პარტიის კანდიდატმა ვირხილიო ბარკომ.

მან მიიღო ხმების 64 პროცენტზე მეტი. მისმა მთავარმა მეტოქემ, კონსერვატიული პარტიის კანდიდატმა ალვარო გომესმა მოაგროვა ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 34 პროცენტი. როგორც აღნიშნავენ, არჩევნებში მონაწილეობდა ხმის უფლების მქონე კოლუმბიელთა ნახევარზე ოდნავ მეტი.

● გდრ

ჯაშუშს — სამუდამო პატიმრობა

ბერლინი. ბერლინის სამხედრო ტრიბუნალის კოლეგიამ დასავლეთ ბერლინის მცხოვრებს ფ. ალტენკრიუგერს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა სამხედრო ჯაშუშობისათვის.

როგორც ადნ-ის საგენტოს ცნობაშია ნათქვამი, ალტენკრიუგერი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი საიდუმლო სამსახურის ფასიანი აგენტი იყო, წლების მანძილზე ჯაშუშობას ეწეოდა. ჯაშუშური დავალების შესასრულებლად იგი მოგზაურობდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

სასამართლო პროცესმა კვლავ ცხადყო, რომ იმპერიალისტური საიდუმლო სამსახურები თავიანთი დანაშაულებრივი ძირგამომთხრელი მოქმედებით აქტიურად უჭერენ მხარს ნატოს მშვიდობის საქმისათვის საზიანო აგრესიულ აქციებს.

არც მთლად ხუმრობა

ოლონდ აღარ უნდა ნერო!

ჰამბურგის ჟურნალმა „კონკრეტმა“ დააწესა ორიგინალური ლიტერატურული პრემია „ლიტერატურის სასიკეთოდ“. თუ აქამდე პრემიები მწერლის შემოქმედების წახალისებად ითვლებოდა, ახალი პრემია, პირიქით, მიზნად ისახავს ლაურეატის შემოქმედებითი მოღვაწეობის „აღკვეთას“, ვინაიდან სოლიდური თანხის — 30.000 მარკის მისაღებად ლაურეატმა უნდა პირობა დადოს, რომ აღარასოდეს აღარ გამოაქვეყნებს თავის ნაწარმოებებს და საზოგადოებისათვის უფრო სასარგებლო პროფესიას აირჩევს.

პრემიის დამწესებლებს, წერს დასავლეთგერმანული გაზეთი „ველტი“, რომლებიც „ხარჯებს არ იშურებენ“, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ გრაფომანებისაგან ლიტერატურის გაწმენდისათვის ბრძოლაში.

თუნდაც ეს საპირველაპრილო ხუმრობა იყოს, უნდა ვაღიაროთ, რომ ხუმრობამ გაჭრა.

ტელეტაიპის ლენტიდან

● დელი. ქალაქ ტეზპურის რაიონში (ასამის შტატი) ინდოეთის უშიშროების ძალებმა დაატყვევეს ექსტრემისტი, რომლებიც ეგრეთ წოდებულ „ახალის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას“ ეკუთვნიან. როგორც ინდოეთის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, დაპატიმრებულთა შორის არიან ამ ტერორისტული დაჯგუფების ლიდერი მანუ ბჰუიანი და გამოშვებულთა სხვა თავკაცები.

● პნომპენი. ტაილანდის მხარე 8-15 მაისის პერიოდში განაგრძობდა შეიარაღებული პროვოკაციებს კამბუჩიის სახალხო რესპუბლიკის სამაერო სივრცეში. ტაილანდის სამხედრო ხომალდები თითქმის 200-ჯერ შევიდნენ რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში.

● ტოკიო. ჩინ დუ ხვანის პროამერიკული რეჟიმი გამორიცხავს სამხრეთ კორეაში პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის მოწყობის შესაძლებლობას, როგორც ამას ოპოზიცია მოითხოვს. ეს განაცხადა კულტურისა და ინფორმაციის მინისტრმა ლი ვონ ხონმა ადგილობრივი გაზეთების რედაქტორებთან შეხვედრისას ხეულში.

● კარაკასი. ვენესუელის დედაქალაქში გაიმართა საზოგადოებრიობის საერთაშორისო სამსჯავროო, რომელზეც გაასამართლეს პინოჩეტი და ჩილეს ფაშისტური დიქტატურის სხვა თავკაცები. ბრალდების იმ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, რომლებმაც ტერორისა და რეპრესიების საშინელებანი განიცადეს, პინოჩეტი და მისი ხროვა მთელი ამერიკის დამნაშავეებად გამოაცხადეს.

ინიციატივა ჰლუს დროული დახმარება

— ასე ესახებათ საჩხერელ კომუნისტებს მათ წინაშე მდგომი დიდი ამოცანების შესრულების გზა

აგირებისთვისაც, რომელთა გადაწყვეტა, მასშტაბურობისა და სირთულის გამო, ადგილობრივ შესაძლებლობებს აღემატება და ზემდგომი ორგანოების ჩარევას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით პარტიის რაიონული ორგანიზაციის კონფერენციაზე და საანგარიშო საარჩევნო კრებებზე ინფორმაციების მოსმენა. ძირითადი გეზი იქითკენ არის მიმართული, რომ კომუნისტები იყვნენ არა მარტო საკითხების დამყენებლები, არამედ მათი აქტიური პრაქტიკული განმახორციელებლებიც. ამისათვის წინა პლანზე წამოიწია პრობლემებისადმი თვითკრიტიკულმა დამოკიდებულებამ. საქმისადმი ამგვარი მიდგომის მაგალითს იძლევიან მეფრინველეობის ფაბრიკის კომუნისტები, რომლებმაც შარშან წლის ბოლოს საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობა და საწარმოში მოშლილი სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობა ძირითადად თავიანთი უფრინციპობით ახსნეს. ამის შემდეგ ფაბრიკის წინაშე მდგარი ბევრი ისეთი პრობლემა მოგვარდა უშუალოდ ადგილობრივი ძალებით, რომელსაც ადრე ფაბრიკის კომუნისტები თავიანთ საქმედ არ მიიჩნევდნენ და სხვათა შემაუფერებაში კარგავდნენ დროს. რაღა თქმა უნდა, ენთუზიაზმმა თავისი გაიტანა და საწარმომაც დაძლია ქრონიკული ჩამორჩენა — მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სახელმწიფოს მიაღწია 4.530 ათასი ცალი კვერცხი და 73 ტონა ხორცი საგეგმო 3.200 ათასი ცალისა და 60 ტონის ნაცვლად. მუშაობის ასეთასვე მაგალითს გვიჩვენებს საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტი.

ერთის მხრივ მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებზე რეაგირება, მათ მიერ დაყენებული სოციალურ-ეკონომიკური საკითხების დროული გადაწყვეტა, მეორე მხრივ კი საკუთრივ ძირეული რგოლების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი გაძლიერება, მშრომელთა ინიციატივიანობის, ენთუზიაზმის, თავიანთი საქმიანობისადმი ფეთიტრიტიული დამოკიდებულების უნარის გაღრმავება მიგვანია სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლაში ადამიანის ფაქტორის სრული სიმძლავრით ამოქმედების უმთავრეს პირობად.

ე. ბერიძე,
საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი.

უცხოეთი
ფაქტები • მოვლენები

ეროვნული

შეწყდეს ბირთვული გასინჯვების

ამერიკელთა მოწოდება ვაშინგტონის ადმინისტრაციისადმი

ნიუ-იორკი. რეიგანის ადმინისტრაციის მიერ ბირთვული აფეთქების განგრძობა მოწმობს, რომ იგი სერიოზულად არ ეკიდება შეიარაღებისადმი კონტროლის პრობლემებს, რაზეც დამოკიდებულია მთელი მსოფლიოს უშიშროება, წერს გაზეთ „ნიუსდეიში“ ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი ედოლფუს თაუნზი.

კონგრესმენი აღნიშნავს, რომ მიუმხრობელი ქვეყნების ჯგუფის ხელმძღვანელებმა მოუწოდეს შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შეწყვიტონ ბირთვული გამოცდები. და მაშინ, როცა სსრ კავშირი საქმით უპასუხებს ამ მმართვას, ჩვენ უგულებელყოფთ მას. ჩვენი მოკავშირეებისა და ამერიკის კონგრესის ბევრი წევრის თვალში პრეზიდენტი რეიგანი ის კაცი არ არის, ვინც ბირთვული შეიარაღებისადმი კონტროლისათვის ზრუნავს. დადგა ჟამი, როცა თეთრი სახლის მეთაურმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა მიპბაძოს საბჭოთა კავშირის მაგალითს და დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ბირთვული იარაღის გამოცდები, ხაზგასმით აღნიშნავს თაუნზი.

საზოგადოებრიობის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების სულ უფრო მეტი ადგილმბრივი ორგანო უშვებს მხარს აგრეთვე ბირთვული იარაღის გამოცდების შეწყვეტას. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, უკვე ამერიკის 109 ქალაქის მუნიციპალურმა საბჭომ და ოთხი შტატის — ვაშინგტონის, ნიუ-იორკის, ჰავაის და როდ-აილენდის — საკანონმდებლო კრებებმა მიიღეს რეზოლუციები, რომლებიც შეიცავენ მოწოდებას რეიგანის ადმინისტრაციისადმი შეწყვიტოს ბირთვული აფეთქებანი.

უშიშროების საბჭოში

სახელმწიფო ტერორიზმის სულისჩამდგმელები

ვაშინგტონმა და ლონდონმა ვეტო დაადეს რეზოლუციას

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი კვლავ წარდგნენ მთელი მსოფლიოს წინაშე როგორც სახელმწიფო ტერორიზმის სულისჩამდგმელები, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის მფარველები. მათ ვეტო დაადეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელშიც მტკიცედ არის დაგმობილი პრეტორია ბოტსვანაზე, ზამბიასა და ზიმბაბვეზე ამას წინანდელი შეიარაღებული თავდასხმისათვის.

მიუმხრობელი ქვეყნების ჯგუფის პროექტში, რომელსაც ხმა მისცა 12 სახელმწიფომ (საფრანგეთმა თავი შეიკავა), აღნიშნული იყო, რომ რასისტული სახელმწიფოს პოლიტიკა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. უშიშროების საბჭოს მოსთხოვეს ეკონომიკური და სხვა სანქციები შემოიღოს პრეტორიის მიმართ, რაც იქნება აპარტეიდის სისტემის წინააღმდეგ ბრძოლისა და სამხრეთ აფრიკაში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის ეფექტიანი საშუალება. თავიანთი აქციით ვაშინგტონმა და ლონდონმა მხოლოდ დაადასტურეს დოკუმენტში გამოთქმული რწმენა, რომ აპარტეიდის სისტემა „კვლავ არსებობს ზოგიერთი ქვეყნის მიერ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის გამო“.

„ეროვნული „მეორე სუნთქვა“

ფაქტის კომენტარი

როგორც დასავლეთ გერმანიის დპა-ს საგენტო იტყობინება, „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსულ ყოველ სტუმარს კანცლერი ჰელმუტ კოლი, მისივე თქმით, განუწყვეტლივ უმეორებს: აბა, ერთი ნამდვილი რევანშისტი მაინც მიჩვენეთ ფედერაციულ რესპუბლიკაშო. კანცლერი ხაზგასმით აღნიშნავს: „ჩვენს ქვეყანაში ვერსად ვერ ვხედავ რევანშიზმის ნიშნებს“.

კანცლერს არ უნახავს არც ერთი რევანშისტი მაშინაც კი, როცა ამ დღეებში მიმართა „სუდეთელ გერმანელთა სათვისტომოს“ მიუნხენში გამართულ ტრადიციულ თავყრილობაზე შეკრებილ 150 ათას რევანშისტს. მას არ უნახავს რევანშიზმი არც მაშინ, როცა ერთი წლის წინათ გამოვიდა ჰანოვერში „სილეზიელ გერმანელთა სათვისტომოს“ თავყრილობაზე, ხოლო კიდევ ნახევარი წლით ადრე მიესალმა ბრაუნშვაიგში ასეთივე „მარად გუშინდელთა“ შეკრებას. და მაინც ეს პოლიტიკური სიბეცე კი არა, საგულდაგულოდ აწონილ-დაწონილი პოლიტიკური გეზია.

სწორედ კოლის მეთაურობით ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი-ქრისტიანულ-სოციალური კავშირი — თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მთავრობის მმართველობის წლებში რევანშიზმმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჭეშმარიტად „მეორე სუნთქვა“ დაიწყო, სწორედ ბოლო სამ წელიწად-ნახევარში მიმდინარეობდა მისი გაძლიერებული რეანიმაცია იმათ მიმართ პოლიტიკური, მორალური და ფინანსური მხარდაჭერის გზით, ვინც ჰიტლერული ფაშიზმის განადგურების შემდეგ განვლილი ოთხ ათწლეულზე მეტი ხნის მანძილზე მისტირის „1937 წლის საზღვრებში დიდი გერმანიის რაიხს“, გაჰყვირის „გერმანიის ღია საკითხზე“ და ევროპის პოლიტიკური რუკის შეცვლა სწადია.

ვინ არის მიუნხენის თავყრილობის ეს 150 ათასი მონაწილე? ისინი გახლავთ ეგრეთ წოდებული „სუდეთელ გერმანელთა სათვისტომოს“ წევრთა დიდი უმრავლესობა, რომელიც შეიის „განდევნილთა კავშირში“ — ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან და აქტიურ რევანშისტულ ორგანიზაციაში. იგი 20-ზე მეტ ასეთ „სათვისტომოსა“ და დაახლოებით 2,5 მილიონ წევრს აერთიანებს. ორმოც წელზე მეტია „სუდეთელი გერმანელები“ თავხედურ ტერიტორიულ მოთხოვნებს უყენებენ სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიას, მოითხოვენ „დაკარგული სამშობლოს — სუდეთის“ დაბრუნებას და საერთოდ მეორე მსოფლიო ომის ყველა შედეგის რევიზიას.

კანცლერი კოლი კი ხოტბას ასხამდა ამ თავყრილობის მონაწილეებს, აქაოდა, „უარი თქვეს შურისგებასა და ანგარიშსწორებაზე“ და წვლილი შეიტანეს „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩამოყალიბებაში“. „კოლს საერთოდ კრინტიც რომ არ დაეძრა, თავად მისი ყოფნის ფაქტი იმათ პოლიტიკურ მხარდაჭერას მოწმობს, ვინც რევანშისტულ პრეტენზიებს უყენებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას, სხვა სოციალისტურ ქვეყნებს“, — სამართლიანად წერდა ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო“. ამასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი მიუნხენში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის უზარმაზარი რუკის ქვეშ იჯდა, სადაც აღნიშნული იყო ტერიტორია, რომელზეც თავხედურად აცხადებენ პრეტენზიას „სუდეთელი გერმანელები“. დასავლეთ გერმანიის ტელევიზიის პირველი პროგრამაც კი იძულებული გახდა ეღიარებინა, თავის გამოსვლაში კანცლერმა რევანშისტები დაიცვა.

დიახ, რევანშიზმი არსებობს და ძალას იკრებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ამ ამკარა ფაქტის უარყოფა ისეთივე უგუნურებაა, როგორც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „მარად გუშინდელებად“ მონათლულთა მსგავსად ფიქრი, თითქოს დრო სულ გაჩერდა. ახლახან კალენდარი იუწყებოდა, რომ ორმოცი წლის წინათ ნიურნბერგში დაწყო მთავარი ნაცისტი სამხედრო დამნაშავეების გასამართლება. ნიურნბერგის გაკვეთილები ყველას უნდა ახსოვდეს. (საკდესი).

26 მაისი, 1986 წ.

ეროვნული

ეროვნული ცხოვრება: კონფერენციაზე ითქვა, რა გაკეთდა?

დღეს ამოცანა ასე დგას: თითოეული სამუშაო დღე უნდა იწყებოდეს და მთავრდებოდეს ადამიანის ფაქტორის გააქტიურებისათვის ზრუნვით. ამ უდიდესი მიზნის მიღწევა მრავალგვარად შეიძლება. ერთ-ერთი ამ საშუალებათაგანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარებაა, მშრომელთა სამართლიან შენიშვნებსა და წინადადებებზე დროულად რეაგირება, მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო, ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისათვის დღენიადაგ ბრძოლა.

ჩვენთან ასეთი წესი გვაქვს: პარტიულ კონფერენციაზე, პლენუმებზე, პარტიულ-სამეურნეო აქტივს, პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე და ჩვენი პარტიის ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილ კრებებზე, აგრეთვე სასოფლო ყრილობებზე, პარტიის რაიკომში შემოსულ საჩივარ-განცხადებებში და გასვლითი მიღების დღეებზე მშრომელთა მიერ გამოთქმული საქმიანი კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებებისათვის ოპერატიულად დგება სპეციალური პასპორტი. თითოეულ კრიტიკულ შენიშვნასა და წინადადებას მიჩენილი ყავს შემსრულებელი ორგანიზაცია და კონკრეტულად პასუხისმგებელი პიროვნება. რეაგირების პროცესს აკონტროლებს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კაბინეტის კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვის სექტორი. სექტორის ხელმძღვანელი ინსტრუქტორი ადგილებიდან მიღებული ინფორმაციების შემოწმებების საფუძველზე რეგულარულად აბარებს ანგარიშს ორშაბათის ოპერატიულ თათბირს. ამ მიმართულებით ცალკეული პარტიული ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების მიერ გაწეული მუშაობის საკითხს პარტიის რაიკომის ბიურო განიხილავს მიმდინარე წლის ივნისში. ბიუროსაკე დადგენილებით პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის წევრებმა, რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივმა მშრომელთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია უნდა წარუდგინონ იმავე პარტიულ ორგანიზაციებს, სადაც ისინი [illegible] ... ბევრს [illegible] ... ფორმისაგან, როგორიც არის პარტიულ ორგანიზაციებზე იგივე კატეგორიის მუშაკების მიმაგრება, რომელთაც უშუალო პასუხისმგებლობა აქვთ დაყისრებული ამ ორგანიზაციათა პრობლემების მოგვარებისათვის.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მშრომელთა მიერ ზემოაღნიშნულ ღონისძიებებზე რაიონული რგოლების მისამართით გამოთქმული 320 კრიტიკული შენიშვნიდან ოქვე დადებითად არის გადაწყვეტილი 70, დაახლოებით ას ორმოცი წინადადების დადებითად გადაწყვეტისათვის მომზადებულია საფუძველი. აი ზოგიერთი მათგანი კონკრეტულად: რაიონის მრეწველობის მეთაური საწარმო — ბამბის სართავი ფაბრიკა — ძალზე მტკივნეულად განიცდიდა კადრების ნაკლებობას, საწარმოო სიმძლავრეების აუთვისებლობას. ამ პრობლემას გარკვეულწილად იწვევდა მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრიანი და კულტურული პირობების მოუგვარებლობა. ამის თაობაზე ფაბრიკის კომუნისტებმა არაერთი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს, რომელთა გათვალისწინებით პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ დაამტკიცა ფაბრიკის კადრებით უზრუნველყოფისა და მუშა-მოსამსახურეთა შრომითი პირობების გაუმჯობესების კომპლექსური გეგმა, რომლის განხორციელებისათვის დახმარება ვთხოვეთ ზემდგომ ორგანოებსაც. რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. მელქაძის ხელმძღვანელობით შექმნა სპეციალური შტაბი, რომლის მუშაობაში აქტიურად არის ჩაბმული მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, პირადად მინისტრი ბ. მაყაშვილი. რაიონის შრომითი კოლექტივებიდან ფაბრიკას დამატებით გაეგზავნა 130 მუშა. საგრძნობლად გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურება, გაიხსნა სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების ობიექტები, მოწესრიგდა ტანსაცმლეულის ქიმიური წმენდა, ... ეფექტიანად ... ბინა ... ბინა ... ბინა

საქპ წევრი, უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე ბარანკოვი, ყოველთვის გულისხმიერია ჯარისკაცთან, მუდამ მხარში ამოუდგება ხოლმე. ეს კი მხედრულ შრომაში წარმატებათა წანამძღვარია.

სურათზე: უფროსი ლეიტენანტი ა. ბარანკოვი ჯარისკაცებს ეხუბრება.

ვ. აბულაძის ფოტო.

სამხრეთის საზღვრის საიმედო ჯიშიანი

თითქოს ობობას ქსელიაო, სანგრებითა და ტრანშეებით დასერილი, უამრავი ნაყუმბარებით გადათხრილი პოლიგონი ბრძოლის ველს მოგაგონებს. აქ განუწყვეტლივ გუგუნებენ მძლავრი ძრავები, გაისმის ზარბაზნების ქუხილი და ტყვიამფრქვევების კაკანი. ეს ტანკისტები გვიჩვენებენ, თუ როგორ შეუძლიათ პირველი გასროლით, ტყვიამფრქვევის პირველი რიგით მოსპონ „მოწინააღმდეგე“.

აქ ტანკისტები ოსტატდებიან

მუშვენიერი, მზიანი დღე იყო. ყველა კარგ გუნებაზე, მხნედ გრძნობდა თავს. ეს მომიმარე სახეებზეც, ხალისიან მოხსენებებზეც ემჩნეოდათ.

გაისმის ბრძანება:

— ჩატვირთეთ ჭურვები!

ყოჩაღად მოქმედებს მრავალეროვანი ეკიპაჟი, რომელსაც ასეულის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, უმცროსი სერჟანტი ვლადიმერ შუბინი მეთაურობს. ჭურვები ჩატვირთულია. თანაც გამტენმა, რიგითმა გრაკვიდას ვასილიუსკასმა ჭურვები ისე განალაგა, რომ სროლის დროს მუშაობა გაადვილებოდა. ამასობაში დამმიზნებელმა, რიგითმა ხოტიმ ყოსიმოვმა ერთხელ კიდევ ყურადღებით შეამოწმა ზარბაზანი, ტყვიამფრქვევი, სასროლი და სამეთვალყურეო ხელსაწყოები. ყველაფერი რიგზეა! ყველა მექანიზმი ნორმალურად მოქმედებს.

კვლავ ბრძანება, და ტანკმა, რომელმაც ცისფერი კვამლი გამოუშვა, ცეცხლის გახსნის პოზიციას მიაშურა.

რიგითი ყოსიმოვი თვალს არ აცილებს სამიზნეს. მას ჩინებულად ესმის, რომ ვარჯიშისათვის განკუთვნილი ნორმატივით დადგენილი დრო ძალზე შეზღუდულია, რამდენიმე წამში უნდა მიაგნოს „მოწინააღმდეგეს“, დაუმიზნოს და ესროლოს.

პირველი მიზანი მაღლობის ვაკისის ოდნავ მარცხნივ გამოჩნდა. ეს „მოწინააღმდეგის ტანკია სანგარში“. ყოსიმოვმა მარჯვედ, თითქმის ავტომატურად დაუმიზნა ქვემეხი და თითი დააჭირა ელექტროგნასს. მჭუხარე ექოდ გაისმა შოაში სროლის ხმა.

— მიზანი! — ყურსაცავმ ტელეფონში მოესმა ტანკის მეთაურის გახარებული ხმა.

ზუსტი აღმოჩნდა დანარჩენი გასროლებიც.

საბრძოლო მანქანა წინ მიიწევს. ეკიპაჟის ყველა წევრი გულმოდგინედ აკვირდება ბრძოლის ველს და ცდილობს მიაგნოს მორიგ სამიზნეს.

აი ისიც — „ტანკსაწინააღმდეგო თოფი“. გაისმა ტყვიამფრქვევის ჯერი და მიზანი დაზიანებულია.

მაგრამ გამოცდა ამით არ დამთავრებულა. გამოჩნდა მოძრავი სამიზნეც. იგი უზარმაზარი გრანიტის ლოდის უკნიდან გამოვიდა და მახვილი კუთხით გაეგზავნა ერთ-ერთ ადგილზე. ეს ადგილი ... ...

ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ ᲐᲮᲚᲝ ᲘᲓᲒᲐ თავისი დროის მოწინავე ახალგაზრდობასთან. თანაუგრძნობდა მის ეროვნულ საქმიანობას, მისწრაფებებს...

იგი შინაური კაცი იყო არა მარტო პოეტებსა და მწერლებს შორის, არამედ მეგობრობდა სახვითი ხელოვნების მოღვაწეებთანაც, რომლებიც თავდადებით იღვწოდნენ ქართული ხელოვნების ასაყვავებლად.

„ᲔᲚᲘᲐ ᲨᲣᲓᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ, — ᲬᲘᲜᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲨᲘ, — ᲧᲝᲕᲔᲚ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲐᲮᲠᲘ, ᲐᲮᲐᲚ ᲬᲐᲛᲝᲬᲧᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲒᲕᲘᲗᲘᲗᲔᲑᲓᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲖᲐ — ᲠᲝᲤᲘᲔᲚ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲜᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑ ᲛᲔᲗᲔᲛᲘ.

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲧᲐᲠᲘ ᲜᲐᲜᲐᲮᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ 1901 ᲬᲚᲘᲡ (ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘᲗ), ᲐᲮᲚᲐ ᲬᲣᲚᲬᲘᲙᲘᲡᲗᲐᲜ (ᲥᲣᲩᲐᲨᲘ). ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲥᲠᲘᲚᲘᲧᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲓᲐᲖᲔ ᲓᲐᲣᲓᲔᲓᲘᲡ. ᲛᲔ ᲐᲠᲐᲡᲐᲡᲣᲠᲘ ᲕᲘᲧᲐᲠᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲓᲐᲖᲔ. ᲛᲘᲡᲘ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲓᲐᲖᲔ ᲓᲐᲣᲓᲔᲓᲘ. ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲐ, ᲗᲐᲜᲔᲑᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲐᲠᲐ ᲛᲣᲚᲡᲐᲜᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲖᲐᲡ ᲛᲘᲰᲧᲝᲠᲓᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲨᲔᲡᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲛᲬᲧᲓᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ.

ᲘᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲬᲧᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲣᲒᲝᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲠᲘᲜᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲨᲘ, ᲛᲘᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲔᲑᲨᲘ. ᲘᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲬᲧᲓᲐ ᲡᲐᲛᲘᲡᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ.

ᲘᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲬᲧᲓᲐ ᲗᲔᲚᲘᲡ ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲣᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲓᲐᲖᲔ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲠᲘᲜᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲛᲐᲒᲐᲓᲐᲖᲔ ᲓᲐᲣᲓᲔᲓᲘᲡ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ